ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს "მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა"
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ლევან ღურწკაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: მაკა ნადარეიშვილი

საიდენტიფიკაციო კოდი : 412 725 573

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

სსიპ-განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი
მიღებული № _____
_____ 20 წ.
დანართი: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

შპს „მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის“ მისია (შემდგომში „სკოლის“) მისია ითვალისწინებს სკოლის საგანმანათლებლო პროცესის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს. მისიის შემუშავება ემყარება საქართველოს კანონს „ ზოგადი განათლების შესახებ“ და ესგ-ს, იქედან გამომდინარე, თუ რა სასტარტო პირობები აქვს სკოლას და რისი მიღწევა სურს. სკოლის მისიაა ისეთი განათლებული , კრიტიკულად მოაზროვნე, ჯანსაღი, ტოლერანტი, კონკურენტულ გარემოში თვითდამკვიდრების უნარის მქონე ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. სკოლის განსაკუთრებული პრიორიტეტებია: ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და უცხოური ენებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით მათი აღჭურვა; ესგ-ის მოთხოვნების განხორციელებისათვის საუკეთესო პირობების შექმნა;

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმა

შეფასება:

შპს “მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლამ” წარადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ და დამტკიცებულია პედაგიური საბჭოს სხდომაზე (26 ივნისი 2017 წელი პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1).

წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით:

- სკოლის საათობრივი ბადე აზუსტებს სწავლების სამივე საფეხურზე ყველა საგნის სწავლებას გაკვეთილების დაწყება-დამთავრებისა და გაკვეთილებს შორის დასვენებების ხანგრძლივობის მითითებით.
- საათობრივი ბადის მიხედვით გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო საგნის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად;

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შემდეგი კომპონენტნტები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1. სკოლის მისია;
2. სასკოლო საათობრივი ბადე;
3. სასკოლო კალენდარი;
4. საგნობრივი კათედრები სკოლაში;
5. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;
6. ინკლუზიური განათლება;
7. მოსწავლის შეფასების სისტემა;
8. წლიური გამოცდები;
9. შეფასების კრიტერიუმები;

სკოლამ მისიიდან გამომდინარე შეიმუშავა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

• **ქართული, უცხო ენისა და მათემატიკისა საგნების გაძლიერებული სწავლება** (ამ მიზნით, გარდა სავალედებულო საათებისა, აქვს დამატებითი სავალედებულო საათები); კერძოდ:

• დაწყებით საფეხურზე **ქართულ ენას** III, IV, კლასებში სავალდებულო კვირეულ დატვირთვას დამატებული აქვს ერთი აკადემიური საათი, ხოლო V და VI კლასებში ორი აკადემიური საათი. შესაბამისად დაწყებით საფეხურზე ამ საგნის კვირეული დატვირთვა შეადგენს 7 საათს. ასევე VII და VIII კლასებში სავალდებულო კვირეულ დატვირთვას დამატებული აქვს ორი აკადემიური საათი, ამ კლასებში ქართული ენის კვირეული დავტვირთვა შეადგენს 7 საათს.

• დაწყებით საფეხურზე **მათემტიკას** I, II, V და VI კლასებში სავალდებულო კვირეულ დატვირთვას დამატებული აქვს სამი აკადემიური საათი, ხოლო III და IV კლასებში ორი აკადემიური საათი. შესაბამისად I, II, კლასებში მათემატიკის საგნის კვირეული დატვირთვაა 8 აკადემიური საათი, ხოლო III, IV, V და VI კლასებში მათემატიკის საგნის კვირეული დატვირთვაა 7 აკადემიური საათი. საბაზო საფეხურზე მათემატიკის სწავლებას VII და VIII კლასებში სავალდებულო კვირეულ დატვირთვას დამატებული აქვს ოთხი აკადემიური საათი, ხოლო IX კლასში ერთი აკადემიური საათი. შესაბამისად VII და VIII კლასებში მათემატიკის კვირეული დავირთვა შეადგენს 8 აკადემიურ საათს, ხოლო IX კლასში 5 აკადემიურ საათს.

• დაწყებით საფეხურზე **პირველ უცხოური ენას** I და II კლასებში სავალდებულო კვირეულ დატვირთვას დამატებული აქვს ექვსი აკადემიური საათი, ხოლო III, IV, V და VI კლასებში დამატებული აქვს ოთხი აკადემიური საათი. შესაბამისად, I და II კლასებში პირველი უცხო ენის სავალდებულო კვირეული დატვირთვა შეადგენს 8 აკადემიურ საათს, ხოლო III, IV, V და VI კლასებში 7 აკადემიურ საათს. საბაზო და საშუალო საფეხურზე VII და VIII კლასებში სავალდებულო კვირეულ დატვირთვას დამატებული აქვს ორი აკადემიური საათი, ხოლო IX,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

X, XI და XII კლასებში დამატებული აქვს ხუთი აკადემიური საათი. შესაბამისად, VII და VIII კლასებში პირველი უცხო ენის სავალდებულო კვირეული დატვირთვა შეადგენს 5 აკადემიურ საათს, ხოლო ხოლო IX, X, XI და XII კლასებში 7 აკადემიურ საათს.

- **მეორე უცხო ენის** სწავლებას სკოლა იწყებს მე-3 კლასიდან, დაწყებით საფეხურზე III, IV, V და VI კლასებში სავალდებულო კვირეულ დატვირთვას დამატებული აქვს ერთი აკადემიური საათი, შესაბამისად ამ კლასებში მეორე უცხო ენის სავალდებულო კვირეული დატვირთვა შეადგენს 3 აკადემიურ საათს. მეორე უცხო ენა არჩევითია (რუსული / გერმანული / ფრანგული).
- სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სხვადასხვა წრის ფუნქციონირება. კერძოდ: მათემატიკის, ინფორმატიკის, ხელოვნების, აღმოსავლური ორთაბრძოლებისა და უცხოეური ენების წრე.
- სპორტის სახეობებიდან სკოლას შერჩეული აქვს სამი სახეობა: ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და კალათბურთი.

სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანს სწავლობენ. არჩევითი სახით, X, XI და XII კლასებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ერთი **არჩევითი საგნის სწავლებას** :

- მსოფლიო კულტურა;
- გეოგრაფიული კვლევა;
- შესავალი თანამედროვე ფიზიკაში.

სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოწავლეს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. მართალია სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა მისიიდან გამომდინარე, შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერ მოსწავლეს მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და ჩამოყალიბდეს ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ.

მოცემულია ასევე მოსწავლეთა **შეფასების სისტემა.** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების ზოგადი სქემები, შემაჯამებელი დავალებების, წერითი საშინაო დავალების შეფასების რუბრიკები.

დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- კათედრის პორტფოლიოებით;
- ინტერვიურებით.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

შპს "მერაბ ჭოხონელიძის საავტორო" სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დამტკიცებულია სასკოლო საასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულებაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა;
2. მათემატიკის კათედრა;
3. უცხო ენების კათედრა;
4. ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;
5. საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა;
6. ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის კათედრა;
7. დაწყებითი კლასების კათედრა.

აღნიშნულ კათედრებში გაერთიანებულია ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი. თითოეულმა კათედრამ წარმოადგინა პორტფოლიო, რომელშიც გაწერილია:

- კათედრის დებულება;
- კათედრის სამუშაო გეგმა;
- ეროვნული სასავლო გეგმიდან გამომდინარე საგნის სწავლების მიზნები საფეხურის მიხედვით;
- ეროვნული სასავლო გეგმიდან გამომდინარე საგნობრივი სტანდარტი კლასების მიხედვით;
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და მათი შეფასების სქემები;
- მოსწავლეთა შეფასების ზოგადი შეფასების სქემები;
- მასწავლებლის სტანდარტი;

სკოლა საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს სპორტის არჩევით სახეობებს: ჭადრაკი, მაგიდის ტენისი და კალათბურთი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შემაჯამებელი დავალების ნიმუშების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ შემაჯამებელ დავალებად ძირითადად გამოყენებულია ტესტური ან წერილობითი (ესსე) დავალებები. სკოლას, ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ შემაჯამებელი დავალებები გახადონ მრავალფერვანი (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად).

სასწავლო კვირა არის ხუთდღიანი, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება I კლასის მოსწავლეებისთვის – 35 წუთით, ხოლო დანარჩენი კლასებისთვის 45 წუთით. შესვენება 10 წუთიანია, ხოლო დიდი შესვენება (მესამე გაკვეთილის შემდეგ) 20 წუთიანი.

დამრიგებლის საალმზრდელო მუშაობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- **აღზრდის მთლიანობა:** პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ, რაც მისიდან გამომდინარე,ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი მოქალაქის აღზრდაა;
- **შემოქმედებითი აქტიური პიროვნების აღზრდა:** დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაცია და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- **მოსწავლეთა ჩართულობა:** დამრიგებელმა მოსწავლეთა პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარებისათვის უნდა უზრუნველყოს მოსწავლეების ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებაში (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები, საქველმოქმედო აქციები და ა.შ.) და ამ დროს წარმოქმნილი პრობლემების მოგვარება;
- **თანამშრომლობის პრინციპი:** დამრიგებლის მუშაობის პრინციპი ემყარება თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.
- **ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების დაცვის პრინციპები:** დამრიგებელმა მოსწავლეებს ხელი უნდა შეუწყოს საკუთარი და სხვისი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერებასა და დაცვაში.

სადამრიგებლო პროგრამაში ასევე გაწერილია დამრიგებლის სამოქმედო გეგმა (ძირითადი აქტივობები და მიზნები) და საორგანიზაციო საკითხები. ასევე გაწერილია კლასის საათისთვის სარეკომენდაციო თემების ჩამონათვალი.

სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- კათედრების პორტფოლიოებით;
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიურებით.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლას განსაზღვრული აქვს ინდივიდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მექანიზმები, რაც ითვალისწინებს მოსწავლის სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით უზრუნველყოფას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ყოლის შემთხვევაში განსაზღვრულია სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც:

- შეიქმნება მულტიდისციპლინური გუნდი, რომელშიც გაერთიანდებიან კოორდინატორი (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დამრიგებელი), პედაგოგები. რომლებიც ასწავლიან ამ მოსწავლეს, მშობელი / მშობლები;
- შეიქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი შეფასების კრიტერიუმები;
- გეგმის განხორციელების მონიტორინგის მიზნით შედგება შეხვედრები.

დასტურდება

- 2017 – 22018 სასკოლო სასწავლო გეგმით:
- ინტერვიურებით;

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

შპს „მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა“-ს წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემა. სისტემის მიხედვით მასწავლებლები იყენებენ ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისად განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების ტიპებს, სამ კომპონენტს (საშინაო დავალება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება). სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, კერძოდ:

1. **მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები;**
2. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება;**
3. **აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა;**
4. **საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები;**
5. **განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები;**
6. **ქულების გამოანგარიშების წესი;**
7. **კლასისა და საფეხურის დაძლევა;**
8. **გაცდენები;**
9. **გამოცდის ტიპები;**
10. **ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები;**
11. **მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება;**

დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასებში) შეფასება ხორციელდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასების ფორმით.

შეფასების სისტემას წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობენ კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები, გამოყოფს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და აკეთებს კომენტარს. ყველა მასწავლებელი წლის ბოლოს თითოეული მოსწავლისათვის ქულასთან ერთად, წერს როგორც განმსაზღვრელ ისე განმავითარებელ შეფასებას.

დასტურდება:

- შპს „მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა"-ს შეფასების სისტემით;
- მშობელთან ურთიერთობის დებულებით;
- მშობლის სამახსოვროებით;
- მოსწავლის შეფასების სტრატეგული გეგმით;
- ინტერვიურებით;
- დამრიგებლის პროგრამით.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

მშობლებთან გასაუბრებამ და სკოლის სადამრიგებლო პროგრამების გაცნობამ დაგვანახა, რომ პედაგოგები, დამრიგებლები და ზოგადად, სკოლის საზოგადოება აპირებს მჭიდროდ ურთიერთობას მშობლებთან. ისინი მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში და თავადაც იზიარებენ პასუხისმგებლობებს. სკოლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მშობელთა სათათბიროს შექმნას, სათათბიროს დებულების სამუშაო ვარიანტი შექნილია. მშობლების ინფორმირებისათვის გამოყენებულია: ელექტრონული შეტყობინებები, სატელეფონო საუბრები, სკოლის ვებგვერდი და შპს „მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლ"- ის facebook გბვერდით. სასწავლო წლის ბოლოს ყველა დამრიგებელი მშობლებს საერთო კრებაზე წარუდგენს კლასის საქმიანობის ანგარიშს და ახდენს შეფასებას, მშობელთა მონაწილეობით განსაზღვრავს კლასის მომავალი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს. ასევე წლის განმავლობაში ეწყობა ინტერვიუები ცალკეულ მშობლებთან.

დასტურდება:

- სადამრიგებლო პროგრამით;
- ინტერვიურებით;
- მშობელთა გამოკითხვის კითხვარებით;
- სკოლის ვებგვერდით - www.mtschool.ge

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები: ადმინისტრაცია, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კათედრის გამგეები. მონიტორინგი ხორციელდება სწავლისა და სწავლების.

იგეგმება პერიოდულად განხორციელდეს: უფროსკლასელთა საშინაო დავალებების შესრულების სისტემატურობის კონტროლი; დამატებითი გაკვეთილების ჩატარებისა და მოსწავლეთა დასწრების კონტროლი; შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების ანალიზი; პრიორიტეტული მიმართულებების სასკოლო შეფასება; მოსწავლეთა სემესტრული და წლიური შედეგების (მოსწრების) ანალიზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სწავლების მონიტორინგი ითვალისწინებს მასწავლებელთა კარიერული და პროფესიული ზრდისათვის ხელშეწყობას. ამ მიზნით განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: კათედრების აქტიური მონაწილეობა სასკოლო გეგმის შეფასებასა და შემუშავებაში; პედაგოგსა და გაკვეთილზე დაკვირვება; პედაგოგის წარმატებული გამოცდილების გაზიარება; მეთოდური სახელმძღვანელოებით და დამხმარე რესურსებით პედაგოგთა უზრუნველყოფა.

სასწავლო წლის ბოლოს იგეგმება პედაგოგიური საბჭო გასული სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა და განიხილა, ის უფლებამოსილია დააყენოს საკითხი სასკოლო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დასტურდება:

- შპს „მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლ"- ის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ინტერვიუებით;
- გაკვეთილის მონიტორინგის სისტემით;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმით;
- კალენდარულ/თემატური ერთეულის გეგმებით;
- დირექტორის მოადგილეების, კათედრების გამგეების, საგნის მასწავლებლების ანგარიშებით;
- სასკოლო შეფასებისა და საატესტატო გამოცდების შედეგებით და მათი ანალიზით.

2. მატერიალური რესურსი

2.1 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

შპს „მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა" (412725573) ფუნქციონირებს ქ. ქუთაისი, ბუხაიძის ქ. N 9, მდებარე სამსართულიან შენობაში. შენობის მესაკუთრეა შპს „მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა" (412725573). შენობა - 1780.64 კვ.მ ფართი, ხოლო მიწის ნაკვეთის -1842.00 კვ.მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართის მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

№	მისამართი		კვ.მ.	
	ქ. ქუთაისი, ბუხაიძის ქ. N 9, საკადასტრო კოდი	**03.04.21.022**	შენობა ეზო	1780.64 1842.00

დასტურდება:

- ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- საჯარო რეესტრის ამონაწერით (ს.კ. - **03.04.21.022**);
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

სკოლაში 38 საკლასო და 13 განაყოფის ოთახია სადაც განთავსებულია 560 ერთადგილინი და 560 სკამი. გარდა ამისა, საკლასო ოთახები ასევე აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, სკამით და დაფებით, ასევე სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით - დამხმარე ცხრილებით.

დასტურდება:

- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ხელშეკრულებებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობებია კალათბურთი, ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი. სკოლის საკუთრებაში არსებული შენობის პირველ სართულზე, სკოლას აქვს **106.8 კვ.მ. ფართის** დარბაზი მაგიდის ჩოგბურთისთვის და კალათბურთისათვის. ასევე სკოლის ერთწლიანი სტრატეგიული გეგმიდან ჩანს დახურული სპორტული მოედანის მშენებლობა, რომლის მშენებლობა დაწყებულია. სკოლის ეზოსთან განთავსებულია მუნიციპალური ღია მოედანი ფეხბურთისათვის და კალათბურთისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასტურდება:

- სპორტული ინვენტარის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

სკოლას შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვილობები (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის), ლაბორატორია განთავსებულია ცალკე საკლასო ოთახში, რომელსაც აქვს ფანჯარა რომლითაც შესაძლებელია ოთახის განიავება. ლაბორატორიის ნაწილი არის დაზიანებული და საჭიროებს აღდგენას.

დასტურდება:

- ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, შენობის გათბობა ხორციელდება ბუნებრივი აირით ცენტრალური სისტემით. სველი წერტილები განთავსებულია სკოლაში, ერთი მათგანი ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეზე. თითოეული საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. ელექტროენერგია მოეწოდება ენერგო-პრო გორჯიასგან, სკოლას აგრეთვე წყალი მიეწოდება ცენრალური მილსადენიდან შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალომომარაგების კომპანიისგან“.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ხელშეკრულებებით;
- საგადასახადო ანგარიშფაქტურით;
- ინტერვიუირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში არის მკითხველთა ფორმულარები, წიგნები დალაგებულია კლასების მიხედვით. წიგნების საინვენტარო ჟურნალის მიხედვით ბიბლიოთეკაში არის 599 მხატვრული, 292 სამეცნიერო ლიტერატურა და 230 ყველა კლასის და ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების კომპლექტები, რომელიც სასაკოლო სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში.

დასტურდება:

- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნით;
- მკითხველთა ფორმულარებით;
- ნაჩუქრობის ხელშეკრულებით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით სკოლის შენობაში შესასვლელად არის პანდუსი, რომელიც იძლევა საშუალებას ეტლით მოსარგებლე პიროვნებას გადაადგილდეგს კორპუსის ორივე სართულზე.

სველი წერტილები განთაცსებულია სკოლის შენობის პირველ და მეორე სართულზე, ერთი მათგანი, რომელიც პირველ სართულზე მდებარეობს განკუთვნილია სსსმ მოსწავლეზე.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:

სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმებით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კერძოდ 23 კომპიუტერი რომლებიც კომპიუტერულ ლაბორატორიაში, 5 ადმინისტრაციის სარგებლობაშია. ყველა მათგანი ჩართულია ინტერნეტში. სკოლას ასევე გააჩნია 2 პრინტერი და 2 ასლგადამღები.

სკოლას აქვს ვებგვერდი http://www.mtschool.ge/ რომელიც ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას.

დასტურდება:

- კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- დაწესებულების ვებგვერდით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

სკოლას გააჩნია 6 ცეცხლმაქრი, პირველ სართულზე 2, მეორეზე 2 და მესამეზე 2. ისინი განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. საევაკუაციო გეგმები შემუშავებულია სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ და გამოკრულია დერეფნებში თვალსაჩინო ადგილას.

სკოლას ჰყავს ექთანი, მედიკამენტები და პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო საშუალებები განთავსებულია ექთანის ოთახში. ექთანის თანამდებობრივი ინსტრუქცია გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელშიც მოცემულია უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

სკოლაში იგეგმება პედაგოგთა მორიგეობა, მათ დაევალებათ თვალის დევნება მოსწავლეთა ქცევაზე სკოლის შენობასა და ეზოში, რომელიც შემოღობილია.

სკოლას აქვს ერთი შესასვლელი, რომელსაც ორი გარე კამერა აკონტროლებს, ამასთან, შენობის შიგნით, სართულების მიხედვით დამონტაჟებულია კამერები. პირველ სართულზე 4, მეორე სართულზე 4 და მესამე სართულზე 2 კამერა. კამერების გამოსახულების ჩაწერა და მონიტორინგი ხდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან. კამერების პარამეტრები შეესაბამება მოთხოვნილ ნორმებს.

დასტურდება:

- კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- უსაფრთხოების წესებით;
- ინტერვიურებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი შემდეგი მუხლებით:

თავი I
ზოგადი ნაწილი
მუხლი 1.ზოგადი დებულებები:

მუხლი 2. სკოლის შინაგანაწესის მიზანი:

თავი II
სწავლის პირობები და სკოლის სტრუქტურა
მუხლი 3. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება და სწავლის პირობები.

მუხლი 4. სკოლის სტრუქტურა.
თავი III
სკოლის დაკომპლექტების წესი
მუხლი 5. თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესი:
მუხლი 6. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლეთა სიიდან ამორიცხვის წესი.
თავი IV
სამუშაო შესვენებისა და დასვენების დრო
მუხლი 7.სამუშაო დროის ხანგრძლივობა.
თავი V
შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა
მუხლი 8.თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადებისა და განთავისუფლების წესი.
მუხლი 9. ანაზღაურების გაცემის დრო, ოდენობა და ფორმა.
მუხლი 10. სასკოლო დოკუმენტაცია.
თავი V I
სასკოლო პროცესში მონაწილეთა უფლება- მოვალეობანი
მუხლი 11. უსაფრთხო სკოლა
მუხლი 12. მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

მუხლი 13. მასწავლებლთა უფლებები და მოვალეობები:
მუხლი 14. მოსწავლის მშობლის უფლებები და მოვალეობები:
თავი VII
სტიმულირებისა და პასუხისმგებლობის წესი
მუხლი 15. მოსწავლეთა სტიმულირების წესი.
მუხლი 16. თანამშრომელთა სტიმულირების წესი.
მუხლი 17. პასუხისმგებლობის ფორმები და მისი გამოყენების წესი.
თავი VIII
სკოლის ფინანსები:
მუხლი 18. სკოლის დაფინანსება.
მუხლი 19. სწავლის საფასური.
თავი IX
დასკვნითი დებულებები
მუხლი 20. სკოლის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის წესი:

დებულებები (ბიბლიოთეკის, კათედრების და პედსაბჭოს, ინკლუზიური განათლების, კლსის დამრიგებლის, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის), რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საქმიანობისა დაგეგმვა და წარმართვა.

დასტურდება:

- წესდებით;
- შინაგანაწესით;
- დებულებებით.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს მოკლევადიანი 2017/2018 სასწავლო წლების განვითარების გეგმა რომელშიც ასახულია შემდეგი საკითხები:

1.სკოლის საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

2.მოსწავლეთათვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიცემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

3.სწავლა- სწავლების ხარისხის ამაღლება.

4.უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დიციპლინირებული გარემოს შექმნა.

5. სკოლის ადამიანური და მატერიალური რესურსი.

6.მშობელთა ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში.

7.მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

აღსანიშნავია რომ სკოლას ასევე აქვს გრძელვადიანი (2017–2023 წწ) სამოქმედო გეგმა რომელიც ითვალისწინებს სკოლის სტარტეგიული საკითხების განსაზღვრას, სკოლის განვითარებისა და წინსვლისათვის აუცილებელია სწორი სტრატეგია.ამ მიზნით სკოლა გამოყოფს:

1. სკოლის მისიის გააზრება და კულტურის ჩამოყალიბება-განვითარება;
2. ადამიანური რესურსის მოზიდვა, ოპტიმალური გამოყენება, პროფესიული ზრდა;
3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ფულადი სახსრების ეფექტური გამოყენება, მუდმივი განახლება-შეფასება;
4. სტრატეგიიდან გამომდინარე ყოველწლიური სამუშაო გეგმის შედგენა;
5. თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების შედეგების ანალიზი;
7. სტრატეგიის განახლება.

სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს ექვს სასწავლო წელს: 2017-2018;2018-2019;2019-2020;2020-2021;2021-2022, 2022-2023.

დასტურდება:

- გრძელვადიანი განვითარების გეგმის პროექტებით;
- განვითარების ერთწლიანი გეგმის პროექტებით;
- ინტერვიუირებით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

დაწესებულებაში შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, სკოლა აწარმოებს შემდეგი სახის დოკუმენტაციის აღრივხვას:

1. შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;
2. გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;
3. საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

4. შრომითი ხელშეკრულებების რეესტრი;

წესში ასევე მითითებულია ზოგადი რეკომენდაციები დოკუმენტთა სარეგისტრაციოდ, ასევე შემოსული დოკუმენტების დამუშავების, ნომრის მინიჭების, ხარვეზის დადგენის შემთხვევაში გამოსწორებისა და რეზოლუციის დადების წესები.

წარმოებს თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.

დასტურდება:

- კორესპოდენციათა რეესტრის ჟურნალებით;
- შესაბამისი საქაღალდეებით;
- ინტერვიუირებით.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

შპს "მერაბ ჭოხონელიძის საავტორო" სკოლა ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში გეგმავს 2017 – 2018 სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა მიღებას, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლაში არ ირიცხებოდნენ მოსწავლეები.

სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმის გასახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლის კოლექტივი შედგება 71 წევრისგან, რომელთა შორის 7 ადმინისტრაციის წევრია, მათ შორის დირექტორს შეთავსებული აქვს ბიოლოგიის მასწავლებლის ფუნქცია და არის წამყვანი მასწავლებელი, ხოლო 64 მასწავლებელი. 64 მასწავლებლიდან 44 მასწავლებელს მინიჭებული აქვს უფროსის მასწავლებლის სტატუსი, 6 მასწავლებელს მინიჭებული აქვს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, 2 მასწავლებელს ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა, ხოლო **12 მასწავლებელს არ აქვს მინიჭებული სტატუსი, შესაბამისად ისინი არ არიან ჩართულები მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.**

დასტურდება:

- ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა პირადი საქმეებით (დიპლომით, სერთიფიკატით, ხელშეკრულებით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

სკოლის მასწავლებლების უმრავლესობა შერჩეულნი არიან ზოგადი განათლების კანონისა და ეროვნული გეგმის შესაბამისად, (12 მასწავლებლისა, რომელთაც არ აქვთ მინიჭებული სტატუსი, მათი კვლიფიკაცია შესაბამისობასშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან). სკოლის ადმინისტრაციას გაწერილი აქვს მასწავლებლის შერჩევა-მიღების წესი, რომელშიც გაწერილია მასწავლებლის შერჩევა - მიღების კონკრუსის ეტაპები.

სკოლას ექპერტთა ვიზიტის პეროიდში არ ჰყავდა სპორტისა და ფრანგულის მასწავლებელი, აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად სკოლამ ექპერტთა ვიზიტის პერიოდში გამოაცხადა ვაკანსია www.pedagogi.ge-ის მეშვეობით (httpteacherjob.ge/14036; teachersjob.ge/14037).

დასტურდება:

- მასწავლებელთა პორტფოლიოებით;
- შპს "მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის" მასწავლებელთა შერჩევა - მიღების წესით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

სკოლის შინაგანაწესის III თავში გაწერილია თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესი. გარდა ამისა სკოლის ადმინისტრაციას შემუშავებული აქვს **მასწავლის შერჩევა-მიღების წესი**, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მასწავლებლის შერჩევა- მიღების პროცესს.

დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი კონკურსის ეტაპები და წასრადგენი დოკუმენტაცია (განცხადება, ფოტოსურათი, CV, პირადობის მოწმობის ქსეროასლი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი / დამოწმებული ასლი, სერთიფიკატები, შორმის წიგნაკი და ცნობა ბოლო სამუშაო ადგილიდან (არსებობის შემთხვევაში)), კონკრუსი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- დირექტორის მიერ გაფორმებული ინდივიდუალური დებულების საფუძველზე საკონკურსო კომისიის შექმნა;
- კონკურსანტთა განცხადებების განხილვა;
- შერჩეულ კონკურსანტებთან გასაუბრება;
- შეფასების სისტემა და კრიტერიუმები (საკონკურსო კომისია აფასებს და აჯამებს გასაუბრების შედეგებს);
- აპლიკანტის შერჩევა (შეფასების საფუძველზე კომისია არჩევს სასურველ კანდიდატს).

შინაგანაწესის VII თავში **"სტიმულირებისა და პასუხისმგებლობის წესი"** გაწერილია როგორც მოსწავლისა და მასწავლებლის წახალისების სისტემა, ასევე დისციპლინური გადაცდომის დროს შესაბამისი სახდელები.

წახალისების ფორმები: მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქარი, ფულადი ჯილდო / პრემია.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- მასწავლებლეთა შერჩევა - მიღების წესით.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

შპს " მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის" მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტენიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშორმლებთან დადებულია 3 თვიანი დროებითი ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში.

დასტურდება:

- თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

თანამშრომლობის ატმოსფერო, თანამშრომლები დარწმუნებულები არიან, რომ მათ მიეცემათ საშუალება გამოავლინონ შესაძლებლობათა მაქსიმუმი და გადაინაწილონ სათანადოდ პასუხისმგებლობები.
მშობლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ძლიერი მხარე სწორედ ადამიანური რესურსია, ამან განაპირობა მათი არჩევანი ამ სკოლის სასარგებლოდ.

დასტურდება:

- ინტერვიურებით;

IV. თანდართული დოკუმენტაცია

სულ --- დანართი (0) ფურცელი.

ქ. ქუთაისი 27.07.2017 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.